



ქალაქი, მშვიდობასა  
და უსაფრთხოებაზე  
ბაეროს უშიშროების  
საბჭოს რეგოლუციების  
ბანხორციელების  
2018-2020 წლების

საქართველოს ეროვნული  
სამოქმედო გეგმის ანბარიში

2018-2020

# სარჩევი

შესავალი.....	<b>3</b>
მოქმედების სფერო I - მონაწილეობა. ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე;.....	<b>4</b>
მოქმედების სფერო II - პრევენცია;.....	<b>16</b>
მოქმედების სფერო III - დაცვა .....	<b>24</b>
მოქმედების სფერო IV - სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება და მონიტორინგი .....	<b>39</b>

# შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2019 წლის შესრულების ანგარიშს. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ და განკუთვნილია, როგორც პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირის/ორგანიზაციისათვის.

ანგარიშში ასახულია 2019 წლის ბოლომდე გათვალისწინებული საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია სამოქმედო გეგმის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების შესრულების ინდიკატორებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების მითითებით. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით დამტკიცებულ პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მოთხოვნებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავების შესახებ.

ანგარიში წარმოადგენს შედეგს იმ თანმიმდევრული პოლიტიკისა, რომლის მიზანიც სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაა.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქარ-

თველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისათვის) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის N173 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა რეზოლუციების განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებები და ამ ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები.

2019 წლის შესრულების ანგარიშის მიზანს, როგორც სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული გამოკვეთილი თუ ნაწილობრივი პროგრესის გამოვლენა, ისე იმ გამოწვევების იდენტიფიცირება წარმოადგენს, რომელთა გადაჭრაც ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული.

ანგარიში მოიცავს მოქმედების ოთხ ძირითად სფეროს. ესენია: ქალთა გაზრდილი მონაწილეობის საკითხი გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე; ქალებსა და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისა და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციის საკითხები; დაცვის ღონისძიებები, კერძოდ, ქალებისა და გოგოების უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე წვდომა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა; და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხები.

# მოქმედების სფერო I - მონაწილეობა. ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე;

**მიზანი 1.** ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში;

**ამოცანა 1.1.** უსაფრთხოების სექტორში ქალთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა და ფუნქციონირებს ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზზე;

**ამოცანის ინდიკატორი 1.1.ა:** ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით

**ბაზისი:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - რიგი დოკუმენტები გენდერულად მგრძობიარეა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ აქვს.

**მიზანი:** გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა;

**წყარო:** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტები;

**1.1. ბ:** ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის არსებობა;

**ბაზისი:** არ არსებობს.

**მიზანი:** ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა და ყოველწლიური მონიტორინგი;

**წყარო:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**1.1. გ:** უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და თავდაცვის ძალებში) სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა;

**ბაზისი:** არ არსებობს;

**მიზანი:** სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა და მონაცემთა პროცენტული მაჩვენებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

**წყარო:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**1.1.დ:** გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა კაცებთან თანაფარდობით;

**ბაზისი:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 32%; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3 %;

**მიზანი:** მონაცემების სულ მცირე შენარჩუნება;

**წყარო:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**საქმიანობა 1.1.1.** სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემის შექმნა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა შექმნილია, მუშაობს სატესტო რეჟიმში და დახვეწის პროცესშია. თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვაში ჩართული, სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა სისტემაში მომუშავე და ანგარიშების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2019 წლის 10 და 11 ოქტომბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსებისა და პერსონალის მართვის ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში „უსაფრთხოების სექტორში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების სისტემის ინტეგრირების“ შესახებ. 2019 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებითვის გაიმართა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც უცხოელმა ექსპერტმა მათ გაუზიარა გამოცდილება სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზის თაობაზე.

**საქმიანობა 1.1.2.** სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება, ანალიზი და პროცენტული მაჩვენებლის გასაჯაროება (პროცენტული რაოდენობა, რანგი, პოზიცია);

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზი მუდმივად მიმდინარეობს და ინფორმაცია (პროცენტული ნიშნით) გაიცემა მოთხოვნის საფუძველზე. სქესის ნიშნით მდგომარეობის შესწავლასა და სეგრეგირებული მონაცემების ანალიზს მოიცავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში 2018-2019 წლებში განხორციელებული ორგანიზაციული კლიმატის კვლევა. აღნიშნული კვლევა პროექტის “ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს თავდაცვის ძალებში: ორგანიზაციული შეფასება” ფარგლებში განხორციელდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ყველა დაინტერესებულ მხარეს, კანონით განსაზღვრულ ვადაში, აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით.

**საქმიანობა 1.1.3.** სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე საკადრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალებისა და კაცების კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ჩატარებული ორგანიზაციული კლიმატის კვლევის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო ქალებისა და კაცების პროფესიული/კარიერული განვითარების თანაბარი შესაძლებლობების კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. ამასთანავე, თითოეული სამხედრო თუ საჯარო მოსამსახურის კარიერის დაგეგმვის, მართვისა და განვითარებისთვის, 2018 წელს განხორციელდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების რეფორმა, რომლის შედეგადაც სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა

და თავდაცვის ძალებში შეიქმნა სამსახურები: სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტში შეიქმნა პროფესიულ საჯარო მოხელეთა კარიერის მართვის განყოფილება, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის პერსონალის დეპარტამენტი, და გენერალური შტაბის პერსონალის მართვის ცენტრი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზის სისტემა ამ ეტაპზე შექმნილი არ არის, თუმცა სამინისტრო ხელს უწყობს ქალებისა და კაცების კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. ნებისმიერი სახის აქტივობაში, რომელიც დაკავშირებულია გადამზადებასთან, სწავლებასთან, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასთან, თანაბრად მონაწილეობენ როგორც ქალები, ისე კაცები.

**საქმიანობა 1.1.4.** კარიერული განვითარებისთვის შექმნილ პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კარიერული განვითარებისთვის შექმნილ პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა მხარდაჭერილია შიდა უწყებრივ დოკუმენტებში და ამ კუთხით სამინისტროში მუდმივად მიმდინარეობს მონაცემთა ანალიზი. მაგალიტად, NATO-ს ყოველწლიური კითხვარის შევსებისას, ანალიზდება კარიერული განვითარების პროგრამებში მონაწილეთა მონაცემები სქესის ნიშნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უზრუნველყოფილია ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობა როგორც გაცვლით ვიზიტებში, ისე, სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო მოდულში.

**საქმიანობა 1.1.5.** უსაფრთხოების სექტორის უწყებებისთვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა დოკუმენტების მომზადება, განახლება და დამტკიცება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

შემუშავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის ახალი სტრატეგიის სამუშაო ვერსია, რომელიც 2020 წლის I-II კვარტალში დამტკიცდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებულია გენდერული თანასწორობის სტრატეგიის სამუშაო ვერსია, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება. უწყებისთვის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირი პროექტის „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“ ფარგლებში.

**საქმიანობა 1.1.6.** უსაფრთხოების სექტორის უწყებების თანამშრომლებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და კოორდინაციის მიზნით რეგულარული შეხვედრების ჩატარება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში, ორგანიზება გაუწიეს შეხვედრას და 2019 წლის 20 სექტემბერს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებს გააცნეს პროექტის “ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს თავდაცვის ძალებში: ორგანიზაციის შეფასება” ფარგლებში ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია, შედეგები და გამოცდილება.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენერთა ტრეინინგ კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების, გაეროს N1325 და თანმდევი რეზოლუციების კონტექსტში უსაფრთხოების სექტორის თანამშრომელთა შემდგომი გადამზადებისათვის ტრენერთა მომზადებას. ტრენერთა აღნიშნული ტრეინინგ კურსის ფარგლებში, სხვადასხვა სახელმწიფოს უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენელთა შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება განხორციელდა. გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პერიოდულად მიმდინარეობს საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, ისეთ თემებზე, როგორებიცაა გენდერული მრჩევლების ინსტიტუტის უწყებაში ინტეგრირება, გენდერული დისკრიმინაციის ფაქტებზე რეაგირება და სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დანერგვა.

2019 წლის 20 ნოემბერს, გაიმართა საერთაშორისო ვორქშოპი ექსპერტებისა და პრაქტიკოსებისათვის მრავალფეროვნება და ინკლუზია თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტებში: უფრო თანასწორი წარმომადგენლობისა და მონაწილეობისათვის.



ნიდერლანდების ექსპერტის მიერ განხილულ იქნა მრავალფეროვნების მართვისა და ინკლუზიის საკითხები ნიდერლანდების თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტებში. საუბარი იყო ასევე გენდერული თანასწორობის საკითხებზეც.

**ამოცანა 1.2.** სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის ზრდა ხელშეწყობილია;

**ამოცანის ინდიკატორი: 1.2.ა:** ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი;

**ბაზისი:** ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში 2017 წელს - 40% ქალი; ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში - 33% ქალი;

**მიზანი:** 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი;

**წყარო:** ინსტიტუტიციები, რომლებიც ჩართულია მოლაპარაკებების ფორმატებში;

**1.2.ბ:** გადამზადებული ქალების რაოდენობა;

**ბაზისი:** 20;

**მიზანი:** 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი;

**წყარო:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**საქმიანობა 1.2.1.** სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ტრენინგის ჩატარება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

გაეროს N1325 რეზოლუციით გათვალისწინებული რეკომენდაციების ფარგლებში, 2019 წლის 5 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ - ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, დიდი ბრიტანეთის საელჩოს, კონფლიქტების სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა სემინარი „მედიაცია და სამშვიდობო მოლაპარაკებები“.

სემინარში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს როგორც საჯარო, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი ქალები, რომლებიც ჩართულნი არიან სამშვიდობო მოლაპარაკებებში ან პოტენციურად გეგმავენ მოლაპარაკებების პროცესში ჩართვას. ეროვნული სამოქმედო გეგმის საფუძველზე, დაიგეგმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ - ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ტრენინგის დანერგვა. აღნიშნული მიზნით 2019 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, შემუშავდა სასწავლო მოდული, განხორციელდა ტრენინგების მომზადება და დასრულებული სახე მიიღო სახელმძღვანელომ, რომელიც შემუშავებულია, როგორც გზამკვლევი სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართული ქალბატონებისთვის. შემუშავებული სასწავლო მოდულის პირველი საპილოტე ტრენინგი განხორციელდა 2020 წლის 21-23 თებერვალს, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები გაუძღვნენ. ტრენინგი განკუთვნილი იყო საქართველოს საჯარო უწყებების თანამშრომლებისთვის, რომლებიც ჩართული არიან რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

**ამოცანა 1.3.** მშვიდობის მშენებლობის პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, ახალგაზრდების და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობა გაზრდილია და სახალხო დიპლომატიის ინიციატივები მხარდაჭერილია;

**ამოცანის ინდიკატორი:** 1.3.ა: ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების პროცენტული მაჩვენებელი

**ბაზისი:** 2017 წელი - 20%;

**მიზანი:** 2020 წელს 20% -იანი ზრდა;

**წყარო:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

**საქმიანობა: 1.3.1.** სამშვიდობო/ნდობის მშენებლობის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის/თანამშრომლობის გაძლიერება (შეხვედრების ორგანიზება);

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დონორ და პარტიორ ორგანიზაციებთან გამართა არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა. 2019 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა თანხმობა გასცა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ 64 ახალ პროექტზე. აქედან, 41 პროექტი ეხებოდა ნდობის აღდგენის ინიციატივებს, ხოლო 11 პროექტი უშუალოდ მოიცავდა ქალთა საკითხებს ან წარდგენილი იყო ქალთა არასამთავროო ორგანიზაციების მიერ (17%).

**საქმიანობა 1.3.2.** ქალთა ორგანიზაციების ხელშეწყობა სახალხო დიპლომატიის ინიციატივების განხორციელებლად (შეხვედრების ორგანიზება);

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მათ შორის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გაიმართა სახელმწიფო მინისტრის 8 ორმხრივი და 2 მრავალმხრივი შეხვედრა. ცალკეული შეხვედრები ასევე ხორციელდებოდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლების მიერ.

**საქმიანობა 1.3.3.** განხორციელებული სამშვიდობო პროექტების შესახებ, გენდერულ ქრილში, ინფორმაციის მომზადება და წლიურ ანგარიშში ინტეგრირება;

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** პრობლემურია.

2019 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატის მიერ თანხმობა გაიცა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ 64 ახალ პროექტზე. აქედან, 11 პროექტი უშუალოდ მოიცავდა ქალთა საკითხებს ან წარდგენილი იყო ქალთა არასამთავროო ორგანიზაციების მიერ (17%).

**მიზანი2.** დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და გადაჭრის საკითხებზე;

**ამოცანა 2.1.** შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული საკითხები განხილული და გათვალისწინებულია;

**ამოცანის ინდიკატორი: 2.1.ა:** ქალებთან, ახალგაზრდებთან და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების გეოგრაფიული არეალი და რაოდენობა, რომლებიც მათი პოლიტიკის შემუშავებისა და მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს;

**ბაზისი:** არ არსებობს;

**მიზანი:** წლის განმავლობაში მინიმუმ სამი შეხვედრა;

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**2.1.ბ:** პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში ქალებისა და გოგოების მიერ დასმული პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი;

**ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია; მუნიციპალიტეტები.

**საქმიანობა 2.1.1.** რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკის განსაზღვრის პოცესებში, კერძოდ კი სტატუსის განსაზღვრის, საარსებო წყაროებისა და განსახლების პოლიტიკის რეფორმის პროცესში;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს პარლამენტი;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო); არ განხორციელებულა - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა ფორუმის ფარგლებში ჩატარდა 12 შეხვედრა დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ამასთან, საანგარიშო პერიოდისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრები არ გამოყენებულა პასუხისმგებელი უწყების მიერ.

**საქმიანობა 2.1.2.** რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტით დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში;

**პასუხისმგებელი უწყება:** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წელს მიმდინარეობდა ახალი რეგულარული დიალოგის წარმოების მექანიზმის შემუშავებისათვის სხვადასხვა პრაქტიკის მოძიება. აღსანიშნავია, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრი უწყებები, მათი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მუნიციპალიტეტების ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთათვის არსებული სხვადასხვა სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და პროგრამების დაგეგმვის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, იყენებდნენ კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს.

**ამოცანა 2.2.** მოლაპარაკებების პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა საჭიროებები, პრიორიტეტები და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებულია;

**ამოცანის ინდიკატორი: 2.2.ა:** მოლაპარაკებების პროცესში, შეხვედრების ფორმატის და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქალთა პრიორიტეტების და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი;

**ბაზისი:** 2017 წელი - 70%;

**მიზანი:** 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი;

**წყარო:** ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრების ოქმები.

**საქმიანობა 2.2.1.** ინფორმაციის გაცვლისა და ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების მოლაპარაკებებში გათვალისწინების მიზნით, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება;

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეგულარული დიალოგის ფარგლებში, 2019 წლის 5 მაისს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეების, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ასევე სათანადო ექსპერტების ჩართულობით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე - „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ (სულ 40 მონაწილე). შეხვედრაზე განხორციელდა ინფორმაციის აქტიური ურთიერთგაცვლა. ერთი მხრივ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები სახელმწიფო უწყებებს უზიარებდნენ ინფორმაციას კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული ქალების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ. ხოლო, მეორეს მხრივ, ჟენევის დელეგაციის წარმომადგენლებმა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს მიაწოდეს ინფორმაცია სამშვიდობო მოლაპარაკებების მიმდინარეობისა და ჟენევის ფორმატში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული ქალების პრიორიტეტების ასახვის შესახებ.

2019 წლის ნოემბრის თვეში იგეგმებოდა მეორე შეხვედრის ჩატარება, თუმცა ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის გამო, აღნიშნული შეხვედრა 2020 წლისათვის გადაიდო.

**საქმიანობა 2.2.2.** ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება;

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა სამი შეხვედრა (24 აპრილი - გორი; 21 ივნისი - ხურჩა და ფახულანი; სულ 65 მონაწილე). შეხვედრაზე განხილული იყო გამყოფი ხაზის ორივე მხარეს უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული მდგომარეობა.

## მოქმედების სფერო II - კრეკენცია

**მიზანი 3.** ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია;

**ამოცანა 3.1.** დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების ადამიანური უსაფრთხოება გაზრდილია;

**ამოცანის ინდიკატორი 3.1.ა:** დაკავებული ქალების რაოდენობა და თანაფარდობა კაცებთან გამყოფი ხაზის ე.წ. "უკანონო" კვეთისას;

**ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**წყარო:** საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

**3.1.ბ:** გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის კონცეფციის არსებობა;

**ბაზისი:** არ არსებობს;

**მიზანი:** ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა;

**წყარო:** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

**საქმიანობა 3.1.1.** საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათ ოჯახის წევრებთან სექსუალური ან სხვა გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებზე (როგორცაა ტრეფიკინგი, ომის ნარჩენები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უკანონო დაკავების საფრთხეები), ასევე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის(დაზარალებულთათვის) სახელმწიფო სერვისების შესახებ;

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:** სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.



**საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 5 გასვლითი საკონსულტაციო შეხვედრა:**

- სოფ. ქვემო ჭალა (16 ქალი; 8 კაცი);
- სოფ. ატოცი (15 ქალი; 7 კაცი);
- სოფ. ქვემო კოშკა (13 ქალი; 2 კაცი);
- სოფ. ჭვარი (42 ქალი; 4 კაცი);
- ზუგდიდი (13 ქალი; 2 კაცი).

შეხვედრებზე განხილული იყო გენდერული, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების, ასევე, სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან რეაგირებისა და სერვისების მიწოდების საკითხები.

2019 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, გამყოფი ხაზის სოფლებში ჩატარდა შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ასევე სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომლის წამომადგენელმაც დეტალური ინფორმაცია მიაწოდა შეხვედრის მონაწილეებს ფონდის მომსახურებებსა და ცხელ ხაზთან დაკავშირებით. შეხვედრები ჩატარდა შემდეგ სოფლებში:

- 6 მარტი - სოფელი ქვემო ჭალა, დამსწრეთა რაოდენობა 24 (16 ქალი, 8 კაცი);
- 28 მარტი - სოფელი ატოცი, დამსწრეთა რაოდენობა 22 (15 ქალი, 7 კაცი);
- 24 ოქტომბერი - სოფელი ქვემო კოშკა, დამსწრეთა რაოდენობა 15 (13 ქალი, 2 კაცი).

**საქმიანობა 3.1.2.** წლიურად არანაკლებ 5 საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის და გოგონებისთვის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ;

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

**სსიპ - იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელდა საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრები დევნილთა შემდეგ დასახლებებში:**

- 2019 წლის 11 ნოემბერს ქ. წყალტუბოს დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 27 ივლისს ქ. ფოთის 201-ე ქარხნის დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 18 ოქტომბერს ქ. აბაშის პროფსასწავლებლის დევნილთა ჩასახლებაში;
- 2019 წლის 11 ნოემბერს ქ. ზუგდიდის სოციალურ სახლში;
- 2019 წლის 29 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურჩაში ჩასახლებულ დევნილებს;
- 2019 წლის 7 მარტს ქ. ბათუმში ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობას;
- 2019 წლის 17 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. სკრის დევნილთა ჩასახლებას;

- 2019 წლის 25 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. საქაშეთის დევნილთა დასახლებას;
- 2019 წლის 23 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის შავშვების დევნილთა დასახლებას.

ზემოაღნიშნულ პირებს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაეწიათ სამართლებრივი კონსულტაციები ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ქალთა უფლებებზე, სოციალური დახმარებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროგრამების საკითხებზე; კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის საკითხებზე, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე გაეცნენ სამსახურის სერვისებს;

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის ქალების და ახალგაზრდების) საჭიროებების შესწავლის და ინფორმაციის განახლების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებიდან პერიოდულად ახორციელებს ინფორმაციის გამოთხოვასა და საჭიროებების ანალიზს. აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდა 2019 წელსაც.

**საქმიანობა 3.1.3.** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების და ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა/ინფორმაციის განახლება;

**პასუხისმგებელი უწყება:** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

**საქმიანობა 3.1.4.** დევნილთა ჩასახლებებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაქტუალური მეთოდების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

ქალაქ გორში ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა თემაზე „გენდერული ძალადობის პრევენციისა და რეაგირების გაძლიერება დევნილთა თემებში“. აღნიშნული შეხვედრების მეშვეობით, დევნილ გოგონებს და ქალებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ინფორმაციას ძალადობის არსის, ფორმების, გამოვლინებების, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოში არსებული დაცვის მექანიზმებისა და მათი უფლებების შესახებ.

**საქმიანობა 3.1.5.** ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამშვიდობო განათლების, სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის #1325 პრინციპების ინტეგრირება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია სამშვიდობო განათლების, სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის პრინციპები. ამასთან, 2019 წელს საბაზო საფეხურის მე-7 კლასში დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი.

2019 წელს დამატებით უნდა განხორციელებულიყო საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილი სასწავლო კურსის „თავდაცვა და უსაფრთხოება“ პილოტირება. პროცესი შეფერხდა, ვინაიდან ჯერჯერობით, ვერ ხორციელდება სასკოლო სახელმძღვანელოს მომზადება.

**საქმიანობა 3.2.1** ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებსა და სპეციალურ ქვედანაყოფებში (მათ შორის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, და კრიმინალური პოლიცია) სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტურ რეაგირებას;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტებზე ეფექტური და სათანადო რეაგირებისთვის, საგამოძიებო პროტოკოლის საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლების და პროტოკოლის განახლება/შემუშავებისთვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის, გენერალური ინსპექციისა

და საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს UN Women-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში (2020 წლის 15-17 იანვარი) სექსუალური შევიწროებისა და მსხვერპლზე ფოკუსირებული გამოძიების მექანიზმების შესახებ. პროტოკოლის შემუშავების პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულნი გენერალური ინსპექციისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლები. 2019 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა მონაწილეობით არაერთი ტრენინგ კურსი ჩატარდა, რომლებიც გენდერული ნიშნით, ასევე, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხებოდა. აღნიშნულ თემაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარებას სამინისტრო, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სისტემატურად ახორციელებს. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომელთა მონაწილეობით ჩატარდა გენდერზე საკონტაქტო პირების სამი ტრენინგ ნაკადი, რომელთა ფარგლებშიც ასევე განხილულ იქნა გენდერული დისკრიმინაციის ნიშნითა და სექსუალური ძალადობის საკითხები.

**საქმიანობა 3.2.2.** უსაფრთხოების სექტორის თანამშრომელთათვის სავალდებულო ტრენინგების შემოღება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

გენდერული და სექსუალური ხასიათის ძალადობის და შევიწროების პრევენციის მიზნით, 2018 წლის 28 ივნისს გამოიცა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება N534, რომლის თანახმადაც ელექტრონული სასწავლო კურსი “სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე” სავალდებულო გახდა და შესაბამისად, აღნიშნული კურსი გაიარა თავდაცვის სამინისტროს ყველა სამოქალაქო პირმა, თავდაცვის ძალების ყველა ოფიცერმა და იმ კაპრალ-სერჟანტებმა, რომლებიც დანიშნული არიან სამეთაურო/სამტაბო თანამდებობებზე. ასევე, გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ, ცენტრალური აფრიკისა და ავღანეთის მისიებში გასაგზავნ სამხედრო მოსამსახურეებს ჩაუტარდათ სავალდებულო (კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების ფასეულობების გათვალისწინებით) სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპების, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის, ასევე პოსტრავმული ფსიქოლოგიური აშლილობის რისკის გათვალისწინებით ოჯახური ძალადობის შესახებ.

**საქმიანობა 3.2.3.** სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგების გაუმჯობესება ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის N1325 “ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება” და შემდგომი რეზოლუციების შესახებ, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებები ინტეგრირებულია ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სწავლების ყველა კურიკულუმსა და სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამებში.

შემუშავებულია გენდერული თანასწორობის შესახებ მოდული, რომელიც ასევე მოიცავს ქალები, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე სასწავლო კომპონენტსაც. ამასთან, 2020 წლის ბოლომდე დაგეგმილია მოდულის განახლება.

**საქმიანობა 3.2.6.** ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა მომზადების და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესებში;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა ოჯახური ძალადობის საკითხების ინტეგრირება სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების, აგრეთვე გადასროლის შემდეგ რეაბილიტაციის პროგრამებში.

**საქმიანობა 3.2.7.** გაეროს უშიშროების საბჭოს ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეზოლუციების შესახებ სწავლებების განხორციელება სამხედრო საკარიერო კურსებსა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული განვითარების კურსებში;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასთან თანამშრომლობით, დაინერგა ელექტრონული კურსი „გენდერული პერსპექტივების ინტეგრაცია ოპერატიული ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის“, რომელიც სამშვიდობო ოპერაციებში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებას ეხება. აღნიშნული კურსი სავალდებულო იქნება მისიაში გადასროლილი ქვედანაყოფის შტაბის სამხედრო მოსამსახურეებისთვის და ასევე სხვა ოფიცრებისთვის. გენდერული თანასწორობის და გაეროს უშიშროების საბჭოს „ქალები, მშვიდობა და უსფრთხოება“ N1325 და შემდგომი რეზოლუციები, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებები ინტეგრირებულია ოფიცერთა და სერჟანტთა საკარიერო სწავლების ყველა კურიკულუმსა და სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების პროგრამებში.

**საქმიანობა 3.2.8.** გენდერული ძალადობის გასაჩივრების და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა და გაუმჯობესება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია გასაჩივრების სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია.

**საქმიანობა 3.2.9.** გენდერული მრჩევლების ფუნქციების განსაზღვრა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულია გენდერული მრჩევლების ფუნქციები და სამუშაოს აღწერების დამტკიცების საჭიროება სამინისტროს შიდა პრაქტიკიდან გამომდინარე აღარ არსებობს.

**საქმიანობა 3.2.10.** მიზნობრივი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფისათვის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოფიცრებისთვის, გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 და შემდგომი რეზოლუციების შესახებ სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის, პრევენციასა და რეაგირებაზე და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებზე;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგთა ტრეინინგ კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების, გაეროს N1325 და თანმდევი რეზოლუციების კონტექსტში უსაფრთხოების სექტორის თანამშრომელთა შემდგომი გადამზადებისათვის ტრენინგთა მომზადებას. აღნიშნული ტრენინგების მიერ, 2019 წელს, გენდერზე საკონტაქტო პირების გადამზადების მიზნით, ორი ტრეინინგ ნაკადი ჩატარდა. ასევე, აღნიშნულ თემაზე სწავლება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების მენეჯერებმა გაიარეს. ყველა ზემოაღნიშნულ ტრეინინგს ასევე ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები და მენეჯერები.

**საქმიანობა 3.2.12.** პროკურატურის თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარება “ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე” გაეროს რეზოლუციების შესახებ;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გენერალური პროკურატურა;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

2019 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორებისთვის, პროკურატურის გამომძიებლებისთვის და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ჩატარდა 3 სპეციალიზაციის კურსი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა პროკურატურის 83 თანამშრომელი. სასწავლო პროგრამა მოიცავდა საერთაშორისო და ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის “ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე” გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს. ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზებული პროკურორებისათვის ევროპის საბჭოს დისტანციური სწავლების პლატფორმის “HELP” გამოყენებით, სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში, 15-მა მსმენელმა გაიარა გადამზადება. სასწავლო კურსი მოიცავდა “ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე” გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

# მოქმედების სფერო III - დაცვა

**მიზანი 4.** ქალებისა და გოგოების უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე წვდომა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა უზრუნველყოფილია;

**ამოცანა 4.1.** დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და უფასო იურიდიული მომსახურების სისტემა;

**ამოცანის ინდიკატორი 4.1.ა:** ქალთა პროცენტული რაოდენობის ზრდა (კაცებთან თანაფარდობით), რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფოს უფასო იურიდიული მომსახურებით ბაზისი: 2017 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაენია 1276 დევნილს - საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%. ქალი - 676 კაცი, 600 ქალი;

**მიზანი:** 2020 წლისათვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით (ქალი 6%; კაცი 4%);

**წყარო:** სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**საქმიანობა 4.1.1** წლიურად არანაკლებ იურიდიული დახმარების სამსახურის 15 უფასო საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

**სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები შეხვდნენ დევნილ და კონფლიქტით დაზარალებული ქალებს/გოგოებს:**

- 2019 წლის 12 ნოემბერს ქ.თბილისში, გლდანის მე-7 მიკროს დევნილთა ჩასახლებაში;
- 2019 წლის 5 აპრილს ბაზალეთის დევნილთა ჩასახლებაში;
- 2019 წლის 12 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ოძისში;
- 2019 წლის 17 მაისს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ფრეხეთის დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 14 მარტს ქვემო ქართლში, ქალთა კოლონიაში;
- 2019 წლის 22 აპრილს ქ.თერჯოლის დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 6 ივნისის ქ.ჭიათურის დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 28 ოქტომბერს ქ.ბაღდათის დევნილთა დასახლებაში;



- 2019 წლის 11 ნოემბერს ქ.წყალტუბოს დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 27 ივლისს ქ.ფოთის 201-ე ქარხნის დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 18 ოქტომბერს ქ.აბაშის პროფსასწავლებლის დევნილთა ჩასახლებაში;
- 2019 წლის 27 ნოემბერს ქ.ზუგდიდის სოციალურ სახლში;
- 2019 წლის 29 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურჩაში ჩასახლებულ დევნილებს;
- 2019 წლის 7 მარტს ქ.ბათუმში ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობას;
- 2019 წლის 17 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფ.სკრის დევნილთა ჩასახლებას;
- 2019 წლის 25 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის სოფ.საქაშეთის დევნილთა დასახლებაში;
- 2019 წლის 23 ოქტომბერს გორის მუნიციპალიტეტის შავშვების დევნილთა დასახლებაში.

ზემოაღნიშნულ პირებს გაენიათ სამართლებრივი კონსულტაციები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს მეჯვრისხევში (გორის მუნიციპალიტეტი), ტყვიავში (გორის მუნიციპალიტეტი), ბერძენაულში (ქარელის მუნიციპალიტეტი), რუხში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ორსანტიასა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ჭვარში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო (სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო და შპს „მექანიზატორი“) და კერძო სექტორის („მაგთიკომი“ და „ლიბერთი ბანკი“) 200-ზე მეტი სერვისით. გარდა ამისა, საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომია ბანკომატი და სწრაფი გადახდის აპარატი, უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ელექტრონული და მატერიალური ბიბლიოთეკა და ასევე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შეხვედრების ოთახი.

აღნიშნულ ცენტრებში 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათის 176 ღონისძიება ისეთ თემებზე, როგორცაა გენდერი, ოჯახში ძალადობა, ადამიანის უფლებები (მათ შორის, შშმ პირთა საკითხები), სოფლის მეურნეობა და სხვ.). ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 2640-მდე ადგილობრივმა მაცხოვრებელმა. საინფორმაციო შეხვედრის ჩატარების მიზნით, 2019 წლის 20 ივნისს, დუისის საზოგადოებრივი ცენტრით (ახმეტის მუნიციპალიტეტი) ისარგებლა სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურმა.

## უძრავი ქონების რეგისტრაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს მიწის რეგისტრაციის რეფორმას. რეფორმის განხორციელების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. აღნიშნული კანონით მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა

გამარტივდა, მოიხსნა როგორც ბიუროკრატიული, ისე ფინანსური ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა. წახალისდა რეგისტრაციის პროცედურა, რაც აუმჯობესებს კერძო პირთა უფლებრივ მდგომარეობას. 2020 წლის 1 იანვრიდან, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისტემური და სპორადული რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილი შეღავათები და მოქალაქის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მთელი რიგი პროცედურები აღარ არის დროებითი და კანონის მუდმივმოქმედ ნორმებად გარდაიქმნა. კიდევ უფრო გამარტივდა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებისა და რეგისტრაციის პროცესი. მიწის რეგისტრაციის რეფორმა სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციის გზით მიმდინარეობს. რეფორმის ფარგლებში, გამყოფი ხაზის მოსაზღვრე სოფლებში განხორციელდა 14 000-მდე მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია.

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ 2018 წელს მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა ზოლში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სტატისტიკური მონაცემები სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაითვალა გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებულ საკრებულოებში (საკრებულო აერთიანებდა რამდენიმე სოფელს, მათ შორის, გამყოფი ხაზის არამოსაზღვრე სოფლებსაც, რის თაობაზეც ინფორმაცია ასახული იყო ანგარიშშიც). ამჯერად, რამდენადაც არსებობდა გამყოფი ხაზის მოსაზღვრე კონკრეტული სოფლების ჩამონათვალი, რაც წინა შემთხვევაში წარმოდგენილი არ ყოფილა, ქვემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების დათვლა მოხდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული სოფლების მიხედვით. თუმცა, ინფორმირებულობისთვის, ასევე, მოძიებულ იქნა მონაცემები იმავე საკრებულოებში, რომლითაც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ იხელმძღვანელა 2018 წელს. 2020 წლის 17 იანვრის მდგომარეობით, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 31 000-ზე მეტი მიწის ნაკვეთი.

**საქმიანობა 4.1.2.** იურიდიული დახმარების რეგულარული მიწოდება დევნილი ქალებისა და გოგოებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და მისი ტერიტორიული სამმართველოების მიერ ყოველდღიურ რეჟიმში იძულებით გადაადგილებული პირებს (დევნილებს) ეწევათ კონსულტაცია სხვადასხვა (მათ შორის იურიდიულ) საკითხებზე.

**ამოცანა 4.2.** დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალებს და გოგოებს აქვთ შესაბამისი ხელმისაწვდომობა საჯარო სერვისებზე;

**ამოცანის ინდიკატორი: 4.2.ა:** სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე ქალების პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით;

**ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**4.2.ბ:** განუული სერვისების მოცულობა და გეოგრაფიული არეალი;

**ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**4.2.გ:** სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების პროცენტული მაჩვენებელი;

**ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

**საქმიანობა 4.2.1.** სამეგრელოში, იმერეთში და შიდა ქართლის რეგიონებში იძულებით გადაადგილებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შეხვედრების ორგანიზება (წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ);

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა შეხვედრა სამეგრელოს რეგიონში დევნილი ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადანყვეტის მიზნით.

**საქმიანობა 4.2.5.** სქესის და ასაკის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განათლების, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ;

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადდა შემდეგი მონაცემები: 1. “გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით”; 2. “გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები 10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკის, განათლების მიღწეული დონისა და სქესის მიხედვით”; 3. “გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკის, სქესის და ეკონომიკური საქმიანობის და დასაქმების სტატუსის მიხედვით”.

მიზანი 5. სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგოები და მათი ოჯახის წევრები;

ამოცანა 5.1. დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამები ხელმისაწვდომია და ჩართულობა გაზრდილია;

ამოცანის ინდიკატორი 5.1.ა: დევნილი ქალებისა და გოგოების პროცენტული რაოდენობა რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მეწარმეობის განვითარების პროგრამებით;

ბაზისი: პოლიტიკის არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით;

მიზანი: მინიმუმ 40%;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

5.1.ბ: ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში დევნილი ქალებისა და გოგოების ჩართულობის პროცენტული რაოდენობა;

ბაზისი: 40 %;

მიზანი: საბაზისო 40% პროცენტის სულ მცირე შენარჩუნება;

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**საქმიანობა 5.1.1.** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლესი განათლების ფინანსური მხარდაჭერა;

**პასუხისმგებელი უწყება:** გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის ფარგლებში განხორციელებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამით 2018-2019 სასწავლო წელს დაფინანსდა 1635 სტუდენტი, მათ შორის 1402 ბაკალავრის და 233 მაგისტრატურის სტუდენტი. აქედან 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა 1607 სტუდენტი, ხოლო 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში 1626 სტუდენტი.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამით 2018-2019 სასწავლო წელს სტუდენტების დაფინანსებისათვის გამოყოფილმა თანხამ 3 336 500 შეადგინა. ზემოთაღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული სტუდენტებისთვის 2019-2020 სასწავლო წელს სწავლის საფასურის დაფინანსების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიამ 2019 წლის 31 ოქტომბერს გამართულ №20 სხდომაზე მიიღო. აღნიშნული პროგრამით 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა 2091 ბაკალავრისა და 297 მაგისტრატურის სტუდენტი. დაფინანსების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 2 488 950 ლარი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული სტუდენტების 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაფინანსებისთვის, რომელიც სავარაუდოდ ა.წ. აპრილის თვის ბოლოს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები აგრეთვე ფინანსდებიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად განხორციელებული სოციალური პროგრამითაც. 2019-2020 სასწავლო წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 აგვისტოს №401 დადგენილებით, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 225 სტუდენტი (143 ქალი, 82 კაცი), რომლებიც ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**საქმიანობა 5.1.2.** დევნილი ქალების და ახალგაზრდების სახელოვნებო-შემოქმედებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** მუნიციპალიტეტები; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, როგორც პროფესიულ კოლეჯებში, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2019 წელს, ჯამში ჩაირიცხა 7699 პირი, მათ შორის 3146 ქალი, მათგან დევნილის სტატუსის მქონე 165 ქალი.

- საგაზაფხულო მიღება: სულ 2623 პირი, მათ შორის 970 ქალი, ხოლო მათ შორის 16 ქალი დევნილი;
- საშემოდგომო მიღება: სულ 5076 პირი, მათ შორის 2176 ქალი, მათ შორის, 149 ქალი დევნილი.

ქალ აპლიკანტთა მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატა სამკერვალო ნაწარმის, თმის სტილისტის, თექის ოსტატის, ვებ-ინტერფეისის დეველოპერის, მზარეულისა და პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან თანამშრომლობით ახორციელებს „დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის ფარგლებშიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, დევნილის სტატუსის მქონე სტუდენტები, მათ შორის ქალები, რომლებიც ირიცხებიან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო დაწესებულებებში, სამინისტროს მხრიდან უზრუნველყოფილნი არიან ვაუჩერული დაფინანსებით, ხოლო სააგენტოს მხრიდან ტრანსპორტირების ხარჯით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარედ ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ოთხი დაწესებულება:

- სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჭვარი;
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“, ქ. გორი;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ. გორი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქ. ზუგდიდი.

ასევე, გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებული აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებები, გარდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა, ჩართულნი არიან პროექტში „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარება“, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში შრომითი/პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას. აღნიშნული დაწესებულებები, ადგილობრივ საჯარო სკოლასთან/სკოლებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ პროფესიული უნარების

განმავითარებელი გაკვეთილების/აქტივობების კურსების განხორციელებას, რომლებშიც ჩართულნი არიან საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VIII და IX კლასის მოსწავლეები, მათ შორის გოგონები.

**საქმიანობა 5.1.3.** დევნილი ქალებისა და გოგოების სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ხელშეწყობა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

### **იხ. საქმიანობა 5.1.3.**

ამასთან, 2019 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების საერთო რაოდენობა 7722 იყო, აქედან დევნილი 479 (6,2%), საიდანაც 187 იყო ქალი (39%).

**საქმიანობა 5.1.4.** სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე დევნილი ქალებისა და გოგოების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

2019 წელს დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ 222 სტუდენტს აუნაზღაურდა ტრანსპორტირების ხარჯი, მათ შორის 113 (50.9%) იყო ქალი.

**საქმიანობა 5.1.5.** კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილი და დაბრუნებული მიგრანტი ქალების დაფინანსება შემოსავლის წყაროს და თვითდასაქმების მიზნით;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების მიზნით, დაფინანსდა 68 წარმოდგენილი პროექტი, 12 პროექტი დაუფინანსდა დაბრუნებულ მიგრანტ ქალებს.

**საქმიანობა 5.1.6.** კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე წვდომის ხელშეწყობა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე, მეტწილად შესრულებული.

2016 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „USAID Zrda“-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, „USAID Zrda“ ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს სოფლად საოჯახო მეურნეობების დახმარებას, რათა გაიზარდოს მათი პროდუქტიულობა და შემოსავალი, ეს განსაკუთრებით ეხება სოფლის მეურნეობის შემდეგ სამ პრიორიტეტულ სექტორს: ბოსტნეულის, ხილის (კენკროვანი) და მეფუტკრეობა/თაფლის წარმოებას. პროექტი აქტიურად უჭერს მხარს ქალთა ჩართულობას ბიზნეს საქმიანობაში. 2019 წელს შიდა ქართლში, გამყოფი ხაზის მიმდებარე/კონფლიქტისპირა სოფლებიდან ზრდის მიერ დაფინანსებულ/ინიცირებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 93-მა ქალმა, რაც შეადგენს 2019 წელს შიდა ქართლში, კონფლიქტისპირა ზონაში, ზრდის პირდაპირი ბენეფიციარების სრული რაოდენობის (333 პირი) დაახლოებით 28%-ს. აღნიშნული ბენეფიციარი ქალები დასაქმებული არიან შემდეგ სექტორებში: მომსახურების სფერო (კაფე/რესტორნები), მეფუტკრეობა, ბოსტნეული ღია გრუნტზე, სათბურები.

სტარტაპერებისთვის „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID/Zrda“-ს ერთობლივ პროექტში მონაწილეობისთვის განაცხადების მიღება „სტარტაპ საქართველოს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.startup.gov.ge](http://www.startup.gov.ge) უკვე შესაძლებელია.



**საქმიანობა 5.1.7.** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საინფორმაციო, სამართლებრივი და ტექნიკური კონსულტაციების გაწევა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წლის 11 დეკემბერს „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება დაევალა სსიპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, საქმიანობა შედარებით შეფერხებულად მიმდინარეობდა, თუმცა რეორგანიზაციის პროცესის საბოლოოდ დასრულების შემდგომ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა. 2019 წელს, კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობ პროგრამებთან დაკავშირებით რეგიონებში ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები და საკონსულტაციო შეხვედრები, რომლის დროსაც განიხილებოდა კოოპერატივების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. იმ რეგიონებში, სადაც დევნილების კომპაქტური დასახლებებია, შეხვედრებს ესწრებოდნენ დევნილებიც, მათ შორის ქალები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფუნქციონირებს 6 დევნილთა კოოპერატივი, რომლებშიც ჯამურად გაერთიანებული 50 მეპაიედან, 23 მეპაიე ქალია.

**საქმიანობა 5.1.8.** სამენარმეო, სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; მუნიციპალიტეტები; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

2019 წლის განმავლობაში, „USAID Zrda“ პროექტის ფარგლებში, 2019 წელს შიდა ქართლის კონფლიქტისპირა სოფლებიდან ტრენინგი ჩაუტარდა 188 პირს, რომელთაგანაც 66 (35%) ქალია. ქალმა ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს 2019 წელს „ზრდის“ მიერ შიდა ქართლის კონფლიქტისპირა სოფლებში ინიცირებული 13 სახის ტრენინგიდან 9-ში. ტრენინგები ეხებოდა შემდეგ თემებს: ბიზნესის განვითარება, სათბურებში ბოსტნეულის წარმოება, ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღებასა და რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხები, კენკროვანი კულტურის წარმოების ორგანული მეთოდები, თაფლის წარმოების

თანამედროვე ტექნოლოგიები, ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა, რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდათა მენარმეობის პროგრამა, რეგიონული გიდების სასერთიფიკატო კურსი, პირველადი დახმარება.

2019 წლის 1 იანვრიდან ახალი საგრანტო პროგრამა „ანარმოე უკეთესი მომავლისთვის“ ამოქმედდა, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებენ. გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობის, აგრეთვე, თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის საფუძვლის შექმნის მიზნით, ახალი პროგრამა უზრუნველყოფს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოების და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას.

პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 14 პროექტით წარმოდგენილი 48 ბენეფიციარი, სულ 320,6 ათასი ლარით. 48 ბენეფიციარიდან 22 იყო ქალი, რაც სულ დაფინანსებული ბენეფიციარების 45.8%-ს შეადგენს.

**საქმიანობა 5.1.9.** ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სერვისებისადმი წვდომის ხელშეწყობა და გამარტივება (შეხვედრების ორგანიზება);

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; შესრულების სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა.

2019 წელს, სამართლებრივი პროცესის დასრულების შედეგად, დაიწყო სამშვიდობო ინიციატივის “ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ” აქტიური განხორციელება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განათლების, სოციალურ-ეკონომიკური, ჯანდაცვის და სხვა სერვისებით სარგებლობას. ამოქმედდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს გამყოფი ხაზის გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას. საგრანტო პროგრამის „ანარმოე უკეთესი მომავლისთვის“ შერჩეულ იქნა და დაფინანსდა 20 ბიზნეს-პროექტი ოკუპირებული რეგიონებიდან. 2019 წლის 17 აპრილს ამოქმედდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული აბიტურიენტების მომზადების პროგრამა, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მომზადებასა და უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩარიცხვას, ასევე ყოველთვიურ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით და საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფას. პროგრამაზე სწავლა დაიწყო 142-მა სკოლადამთავრებულმა ახალგაზრდამ და აქედან 139-მა გამარტივებული წესით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. ჯამში 2019-2020 აკადემიურ წლებში უმაღლეს სასწავლებლებში ოკუპირებული რეგიონებიდან 348 სტუდენტი ჩაირიცხა.

2019 წელს სახელმწიფო რეფერალური პროგრამის მომსახურებით ოკუპირებული რეგიონების 1481 მცხოვრებელმა ისარგებლა. ამასთან, 2019 წელს აფხაზეთის რეგიონს

გადაეცა იმუნიზაციის, წითელას და ანტი-რაბიული ვაქცინები, დიაბეტის, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები.

სსიპ - აწარმოე საქართველოში ჩართული იყო როგორც პარტნიორი. აღნიშნული მიზნით, 2019 წლის 3 მაისს, წეროვანში სააგენტოს მენარმეობის დეპარტამენტის წარმომადგენლები შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ქალბატონ ქეთევან ციხელაშვილთან ერთად შეხვდნენ დაახლოებით 100-მდე დევნილს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ თაობაზე ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

**საქმიანობა 5.1.10.** გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების გადამზადების და უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით სასწავლო მოდულის შემუშავება და პროგრამების განხორციელება ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის საკითხების ირგვლივ;

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:** სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში ბიზნესის დაწყება/განვითარების მიზნით გადამზადდა 16 კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალი. სასწავლო კურსი “როგორ დავიწყოთ ბიზნესი” შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სამეგრელო - ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა. სასწავლო კურსში ჩატარდა ზუგდიდში. მასში მონაწილეობა მიიღო 13 ქალმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და 3 ქალმა გალიდან.

**საქმიანობა 5.1.11.** გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები სტუდენტების ჩართვის შესაძლებლობა არსებულ სასწავლო კურსებში კვოტირების მექანიზმის საშუალებით;

**პასუხისმგებელი უწყება:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

**პარტნიორი უწყება:** სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

კვოტირების მექანიზმის საშუალებით გასულ წელს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში სასწავლო კურსები გაიარა ერთმა სტუდენტმა გალიდან. გალიდან სხვა მაგისტრატურის სტუდენტების მოუცლევლობის, ასევე მომზადების არასათანადო ხარისხის გამო, კონკრეტულ სასწავლო კურსში მონაწილეობის მიზნით გამოყოფილი 4 კვოტის შევსება ვერ მოხერხდა.

**საქმიანობა 5.1.12.** გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში, დაინტერესების შემთხვევაში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართვა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის დროულ მიწოდებას რამდენიმე გზით: ინფორმაციის გავრცელება ცენტრის გამომწერებს შორის, ცენტრის ვებგვერდისა ([www.eiec.gov.ge](http://www.eiec.gov.ge)) და სოციალური ქსელის მეშვეობით. საჯარო განხილვა ღიაა. საჯარო განხილვაში მონაწილეობის, ასევე ზეპირი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლებაა ქვესაზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. საანგარიშო პერიოდში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ჯგუფის მხრიდან დაინტერესება არ გამოხატულა, თუმცა ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში, კერძოდ სოფელ დიცის საჯარო სკოლაში თემაზე - „გარემოსდაცვითი განათლება საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“. ტრენინგში მონაწილეობდნენ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელ დიცის, არბოს, მერეთისა და კარბის სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლები.

ვიზიტის მიზანი გახლდათ გამყოფი ხაზის სოფლებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გარემოსდაცვითი საკითხების სწავლება. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 53-მა აღსაზრდელმა, აქედან უმრავლესობა - 44 გახლდათ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ცენტრი „განათლების ხელშეწყობა გამყოფი ზაზის მიმდებარე სოფლებში“ პროგრამის ფარგლებში კვლავ გააგრძელებს საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების სასწავლო დაწესებულებებისთვის.

**საქმიანობა 5.1.13.** დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის, მათი დაინტერესების შემთხვევაში, გარემოს დაცვის საკითხებზე სემინარების ჩატარება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა.

აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა „დედამინის საათის“ კვირეულის ფარგლებში მოისმინეს ლექცია-სემინარი თემაზე „დედამინის ისტორია - პროტოპლანეტიდან ლურჯ პლანეტამდე“ (ესწრებოდა 12 მოსწავლე, მათ შორის 5 მდედრ, 7 მამრ.)

**ამოცანა 5.2.** დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის კულტურული და სპორტული პროგრამები ხელმისაწვდომია და მათი ჩართულობა გაზრდილია;

**ამოცანის ინდიკატორი 5.2.ა:** დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებისა და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა ვინც ისარგებლა კულტურული და სპორტული პროგრამებით;

**ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს;

**წყარო:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**საქმიანობა 5.2.1.** სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლების მხარდაჭერა დევნილ პირთა დასახლებებში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „ხელოვნები თანადგომისათვის“;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით გამოცხადებულ კონკურში გამარჯვებული პროექტი „სახელოვნებო სკოლები დევნილთა დასახლებებში“. პროექტის ფარგლებში შიდა და ქვემო ქართლის დევნილთა 12 კომპაქტურ დასახლებაში

მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ფუნქციონირებდა 9 სახელოვნებო წრე. მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 707 მოსწავლეს. პროექტის ფარგლებში დასაქმდა ადგილობრივი 58 პედაგოგი.

**საქმიანობა 5.2.2.** კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კულტურულ ობიექტებსა და ღონისძიებებზე სპეციალური საშეღავათო პირობების შემოღება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციები;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში ვიზიტი უფასოა.

**საქმიანობა 5.2.3** კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:** სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციები;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების მიერ ტარდება სხვადასხვა მიმართულების ღონისძიებები - საგანმანათლებლო პროგრამები, კონფერენციები, გამოფენები, შემეცნებითი ტურები. გამოიცა პუბლიკაციები კონფლიქტის ზონაში არსებულ ძეგლებზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

**საქმიანობა 5.2.4.** მიზნობრივი სპორტული ღონისძიებების განხორციელება ახალგაზრდებისთვის;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**პარტნიორი უწყება:**

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა.

2019 წლის 26 მაისს (დამოუკიდებლობის დღეს) სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ - "სპორტი ყველასათვის" მოაწყო ღონისძიება სოფელ შინდისში, სადაც ჩატარდა ქართული ჭიდაობის შეჯიბრი. ფედერაციამ ასევე მოაწყო მეკლდეურობის სპორტული ფესტივალი ზემო ნიქოზში (2019 წლის 9 ივნისი).



Norwegian Ministry  
of Foreign Affairs



ამ ანგარიშის ვიზუალური მხარე მომზადებულია ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს სამდივნო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.





თბილისი 2020